პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№624 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელს. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც· ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

1-ლ დივიზიის რემედასის წევრთა კონფერენცია.

გუშინ გაიხსნა წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში პირველი დივიზიის წითელ არმიელთა რემედასის წევრთა კონფერენცია.

რემედასი ანუ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება—ახალი ორგანიზაციაა.

მას დიდი მიზნები აქვს დასახული და დიდი მნიშვნელობაც აქვს.

მთელი ათეული წლები მუშათა კლასი აწარმოებს შეუბრალებელ ბრძოლას კაპიტალისტების წინაამდეგ. ბევრი მსხვერპლი შეიწირა ამ ბრძოლამ; ბევრი დაასუსტა და დაავადმყოფა.

ამ ამხანაგებს ესაჭიროებათ როგორც სულიერი ისე მატერიალური დახმარება.

ვინ უნდა გაუწიოს ეს დახმარება? რემედასმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რემედასს დასავლეთ ევროპის ამხანაგებისათვის. გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, რუმინიის, ბოლგარიის და სხვა სახელმწიფოების ციხეები სავსეა აუარებელ პატიმრებით. მძიმე პირობებში უხდება მათ ყოფნა ამ „განათლებულ“ სახელმწიფოების ბნელ სარდაფებში.

ზოგიერთ სახელმწიფოებში რევოლიუციონერთა დევნამ თავის საზიზღროების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ბოლგარიაში და რუმინიაში ხშირი მოვლენაა რევოლიუციონერის ქუჩაში მოკვლა, წამება და ტანჯვა.

მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი ან გულხელდაკრეფილნი შესცქერიან ამ ბოროტებას, ანდა თვით ისვრიან ხელს მის სისრულეში მოყვანით.

იმპერიალისტურ ჯალათებს გვერდს უმშვენებენ ამხ. ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის მკვლელები სოციალ-დემოკრატები-მენშევიკები.

და ასეთ დროს რემედასის არსებობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს

რემედასი არის და კიდევაც უნდა იყოს ერთ მედგარ მებრძოლ ორგანიზაციად იმპერიალისტების, კაპიტალისტების და მათი ლაქია სოციალისტ-შემთანხმებლების წინაამდეგ.

ჩვენში ეს საზოგადოება დიდი ხანი არ არის რაც არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა მისი რიგები ისე სწრაფად იზრდება, რომ სულ ცოტა ხანში იგი შეიქმნება ერთ მედგარ ორგანიზაციად.

ჯარის ნაწილებში ყველგან არის მოწყობილი სათანადო უჯრედები.

გუშინ მათ პირველად ქონდათ კონფერენცია.

ეს კონფერენცია არ უნდა დარჩეს მხოლოდ კონფერენციად.

მან უნდა მისცეს ბიძგი ჩვენს ნაწილებს და არც ერთი წითელ-არმიელი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, არ უნდა დარჩეს რემედასის უჯრედის გარეშე.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ რემედასი, ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც შიშის ზარს სცემს საერთაშორისო ბურჟუაზიას. ამიტომ ყველა უნდა გავხდეთ მისი წევრი.

გაუმარჯოს რემედასს!

დაპყრობილ ბესარაბიის გარშემო.

რუმინიზაცია ცეცხლითა და მახვილით.

ბესარაბიის აჯანყებაში მონაწილე ბანდიტმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: ბესარაბიის მშრომელები დიდ მძიმე მდგომარეობაში არიან. რუმინეთის ცეცხლითა და მახვილით გაჰყავს რუმინიზაცია ბესარაბიაში. რუსული სკოლები დახურულია, რუსებს სდევნიან სამსახურიდან, ყველა რუსებს აბრალებენ თანაგრძნობას ბოლშევიკების მიმართ“.

სოფელ სპასსკის გლეხი კარობკოვი ამბობს: „17 სექტემბერს დილით სოფელში შემოიჭრა ავტომობილი წითელი დროშით. ავტომობილზე ისხდენ შეიარაღებული ხალხი რომლებიც გაიძახოდენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“. ისინი თავს დაესხენ ჟანდარმებს. გლეხობა მაშინვე შეუერდა მათ. აჯანყება გაფართოვდა გამოიწვიეს ცხენოსანი და არტილერია, ასტყდა სროლა ცეცხლი გაუჩინეს სოფლებს. თითქმის ყველა აჯანყებულები დაიღუპა.

რამოდენიმე ათასი აჯანყებულიდან გადარჩა მხოლოდ ხუთი კაცი. დანარჩენები მოკლული და დახვრეტილ იქნა გაუსამართლებლად.

იტალიის ფაშისტების განცხადება.

ფაშისტური გაზეთი მუსოლინის დაპირების შესახებ, რომ ის ვითომდა დაამტკიცებს რუმინეთის მიერ ბესარაბიის ანექსიის ოქმს, აცხადებს:

„უარყოფა გაჰფანტავს იმ ხმებს. რასაც შეუძლია შებღალოს ჩვენი კეთილი განწყობილება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან·

სასურველია, რომ ჩვენი განწყობილება რუმინეთთან იყოს კეთილ მეგობრული.

მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ აგრეთვე კეთილი განწყობილება იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის“.

სოფლის კორესპონდენტის ამხ. მალინოვსკის მკვლელობის გამო.

7 ოქტომბერს, ქალაქ ნიკოლაევში დაიწყო სოფლის კორესპონდენტის ამხ. მალინოვსკის მკვლელების გასამართლება. პასუხის გებაშია მიცემული რამოდენიმე კაცი, მათ შორის მკვლელობის მოწყობის მთავარი ინიციატორი პაპანდოპულო.

ვინ იყო ამხ. მალინოვსკი?

ამხ. მალინოვსკი იყო სოფლის კორესპონდენტი. ის იყო დაუძინებელი მტერი ყოველგვარი ბოროტებისა და უსინიდისობის. ის იყო დაუღალავი მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლების მტრებისა. ის ყოველივე საბჭოთა ხელისუფლების მტრების „საქმიანობას“ აქვეყნებდა პრესის საშუალებით.

მან მოათავსა გაზეთებში მთელი წყება კორესპონდენციებისა სოფლის „კულაკების“ შავ საქმეებზე. მათი შავი ზრახვანი აშკარად გახადა ყველასათვის.

ამხ. მალინოვსკი გახდა მსხვერპლი „კულაკებისა“, ის დაეცა გულ განგმირული თავის სანაქებო საგუშაგოზე.

სასამართლოში გამოირკვა, რომ „კულაკებს“ მხარს უჭერდენ და მათ ეხმარებოდენ შავი საქმეების კეთებაში ადგილობრივი ხელისუფლება და ორი ადგილობრივი კომუნისტი.

ვინ იყო პაპანდოპულო?

ის არის შემთხვევით პარტიაში მოხვედრილი კომუნისტი. მეტად შავი პიროვნებაა.

მთელი მისი წარსული ბურუსითაა მოცული.

პაპანდოპულოს თავის შავი ზრახვების განხორციელებაში უშლიდა ხელს მალინოვსკი და გადასწყვიტა მისი თავიდან მოშორება. მან დაათრო მალინოვსკის ძმა და მოაკვლევინა თავისი კვიდრს ძმა. პაპანდოპულო პირდებოდა პარტიაში ჩაწერას, ახალი სახლის აშენებას და გადასახადიდან განთავისუფლებას იმათ, ვინც მოკლავდა მალინოვსკის.

ეჭვს გარეშეა, რომ სასამართლო სასტიკად დასჯის მკვლელებს.

ლ.



სოფკორი მალინოვსკი

ჩვენი გაზეთის რედაქციამ, პარტკორებმა და სამხკორებმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს ნიკოლაევში, სასამართლოს სესიის თავმჯდომარეს, რომელიც არჩევს მალინოვსკის მკვლელების საქმეს. ასლი მოსკოვში „პრავდა“-ს

ქართველ წითელ-არმიელთა გაზეთ „წითელი-არმიელი“-ს რედაქცია, პარტკორები და სამხკორები მოითხოვენ მალინოვსკის მკვლელთა სასტიკად დასჯას.

ზიზღი მუშათა პრესისათვის მებრძოლის მკვლელებს.

მალინოვსკის მკვლელების გასამართლება.

ღარიბთა დამხმარე კომიტეტის წევრმა პოსტალატიმ თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ მისი სოფლის მოსახლეობის 75 პროც. მისი მტერია-

სასნოვსკი ეკითხება: „ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ კომუნისტური პარტიის იდეალი იმაშია, რომ მოსახლეობის 75 პროც. ემტერებოდეს მას?“

სასნოვსკი აღნიშნავს, რომ მალინოვსკის კარგად ექცეოდა მოსახლეობა, ხოლო პოსტალატის მტრულად, მაგრამ მოჰკლეს მალინოვსკი და არა პოსტალატი.

შემდეგ ირკვევა, რომ პოსტალატი ერთობ ყვლეფდა მოსახლეობას.

ბრალდებული ტალპა არ სცნობს თავს დამნაშავედ და კარგად იხსენებს მალინოვსკის—ტალპას ჩვენება ეწინააღმდეგება მის წინა ჩვენებას, რომელზედაც მას მოწერილი ჰქონდა ხელი.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ივანოვი ჩვენებაში აცხადებს, რომ მასთან მოვიდა სიმიონოვიჩი და აცნობა მალინოვსკის მკვლელობის შესახებ.

მე შევადგინე ოქმი.

მილიციონერი სტეცუკი აცხადებს, რომ იარაღი, რომლითაც მოკლულ იქნა მალინოვსკი, მას მისცა ვიღაც მოქალაქემ, რომლის გვარი მას არ ახსოვს. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მას გასინჯოს ის იარაღი, რომელიც მაგიდაზე დევს.

ბრალდებული აშკარად ღელავს, სისხლი აწვება თავპირში და ამბობს:

„ეს არის“

ბრალდებულთა დაკითხვა დამთავრდა.

ყველა ჩვენებიდან აშკარად სჩანს, რომ მალინოვსკი შეთქმულობის მსხვერპლი შეიქნა. მისი ეშინიათ შავბნელ ელემენტებს. აბეზღებენ როგორც ბანდიტს და სხვა,

რადიო-დეპეშები.

„შორს ოკუპანტების ხელები ბესარაბიისაგან“.

ხარკოვში სდგება საზოგადოება—„შორს ოკუპანტების ხელები ბესარაბიისაგან“.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

უკრაინის ცაკის მიერ საკითხის გარჩევის დროს აღნიშნულ რესპუბლიკის დაარსების შესახებ, ცენტრალური ადმასკომის შენობასთან თავი მოიყარა დიდძალმა ბესარაბიელების რიცხვმა.

კომიტეტის მდივანი ბუდენკო მიესალმა დემონსტრაციებს და განაცხადა.

„იმ დროს, როცა ჩვენ ვარჩევთ საკითხს მოლდავიის რესპუბლიკის შექმნის შესახებ დნესტრის მეორე ნაპირზე, რუმინეთის ჟანდარმები ხვრეტენ ბესარაბიელებს.“

დემონსტრანტებს ვამოაქვთ რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ დაიცვან დევნისაგან ბესარაბიელი ძმები. იქვე ნათქვამია: „საჭიროდ ვსთვლი კიდევ გამოვაცხადოთ მთელი ქვეყნის წინაშე ჩვენი დაუთრგუნავი ნება სურვილი ბესარაბიის გაერთიანებისა საბჭოთა კავშირთან.

ძირს რუმინელ ბოიართა ძალმომრეობა! გაუმარჯოს საბჭოთა ბესარაბიას!

პოლონეთი.

პარტიზანები მოქმედებენ.

10 ოქტომბერს ქუკოვსკის მაზრის რაიონში მოხდა შეტაკება პარტიზანებსა და პოლიციას შორის. მოკლულ იქნა ერთი პოლიციელი, დაჭრილ იქნა ერთი.

ატ·რა·მიადზის სოფელში პარტიზანელებმა გადასწვეს სამი სამოსახლო და მიიმალენ.

5.600 პოლიტიკური პატიმარი.

ოქტომბრის განმავლობაში პოლონეთში დანიშნულია 44 პოლიტიკური გასამართლება,

ოფიციალური ციფრი (1400) პოლიტ. პატიმრების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

ამ ციფრის შედგენის დროს პოლონეთის მთავრობას არ მიუღია მხედველობაში შპიონაჟის საქმეზე დაპატიმრებულები, აგრეთვე ეკონომიურ ტერორში და საბოტაჟში ბრალდებულები და სხვა.

ნამდვილი რაოდენობა პოლიტპატიმრებისა პოლონეთში უდრის 5.600-

საბჭოთა ფედერაციაში.

რევოლიუციონური ლიტერატურის გამოფენა.

1925 წლის იანვარში 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის შესრულების გამო, რუსეთის რევოლიუციონური ხელოვნების შემსწავლი საზოგადოების მიერ მოწყობილ იქნება რევოლიუციონური ლიტერატურის გამოფენა.

პროტესტის მიტინგი თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

12 ოქტომბერს მოსკოვის ყველა რაიონებში გაიმართა პროტესტის მიტინგები ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმოებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ვალერი ბრიუსოვის დასაფლავება.

12 ოქტომბერს დაასაფლავეს პოეტი ვალერი ბრიუსოვი. ბრიუსოსახელობის ინსტიტუტიდან „ნოვოდევიჩი-“ს სასაფლაომდი კუბო მიჰქონდათ ბუხარინს, ლუნარსკის, პროფესორ საკულინს და სხვებს. დასაფლავებაზე მონაწილეობდა მრავალ რიცხოვანი დელეგაცია და ათასობით მოქალაქე˙

ბრისოვზე სიტყვები სთქვეს ლუნაჩარსკიმ და სხვებმა.

რევოლიუციონერთა დამხმარე საზოგადოება.

„მოპრის“ (რევ. დამხმარე საზოგადოება) აღმასკომის ცნობის თანახმად სექტემბერში საბჭოთა კავშირში შეკრებილ იქნა 225.860 მანეთი ბურჟუაზიულ ციხეებში მჯდომ რევოლიუციონერთა სასარგებლოდ.

პირველ რიგში სდგანან: მოსკოვის გუბერნია, რომელმაც მოაგროვა 45.000 მანეთი და სირ-დარიის ოლქი, რომელმაც დააგროვა 27.000 მანეთი.

ჩინეთი-დასავლეთი ევროპა.

დაწესდა ჩინეთის საფოსტო მიმოწერა დასავლეთ-ევროპიდან და პირიქით საბჭოთა კავშირზე ჰაეროპლანით კენიგსბერგ-მოსკოვზე გავლით.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი˙

რუსეთის კომერციული ბანკის დირექტორი ამერიკაში.

ნიუ-იორკში მივიდა რუსეთის კომერციული (სავაჭრო) ბანკის დირექტორი კარომკოვი;

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კარომკოვმა განაცხადა, რომ მისი მოსვლის მიზანია მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ამერიკის ბანკირებთან, რათა შემსუბუქებული იქნას ვაჭრობის განვითარების საქმე საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის,

ადგილობრივი ცნობები.

პარტიულ-კომკავშირელთა კლუბი.

13 ოქტომბერს ბათუმში გაიხსნა პარტიულ-კომკავშირელთა კლუბი სერგო ორჯონიკიძის სახელობაზე. საზეიმო სხდომაზე მილოცვის სიტყვით გამოვიდა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე მოწყობილი, აჭარკომის მდივანი სვანიძე და სხვები.

გაეგზავნა მილოცვის დეპეშები ორჯონიკიძეს, მიასნიკოვს, საქ. კომ. პარტიის ცეკას და საქ. ახ. კომკავშირთა ცენტრალურ კომიტეტს.

მანუფაქტურა ღარიბ გლეხებისათვის.

ქედის (აჭარისტანში) სამაზრო გლეხკომმა მიიღო დიდძალი მანუფაქტურა, რომელიც განაწილებულ იქნება მაზრის მცხოვრებთა შორის დაკლებულ ფასებში.

შაქრის კრიზისი.

ბათუმის ბაზარზე შაქრის კრიზისია. კოოპერატივებში შაქარი ეძლევათ თითო—ორ-ორი გირვანქა სულზე.

მუშკოპების საწყობებში რიგია გამართული.

„მოპრის“ კონფერენცია.

ქ. გორში გაიხსნა რევოლიუციის დამხმარე საზოგადოების კონფერენცია, დაესწრო 25 დელეგატი. სამაზრო განყოფილების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

არჩეულ იქნა დელეგატები სრულიად საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლად.

სართავი ქარხანა,

12 ოქტომბერს ქუთაისში დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი სახელმწიფო საფეიქრო ქარხანა.

მოსულის საკითხი.

ოსმალეთის პრესა ინგლისის ცნობის შესახებ.

ოსმალეთის პრესა აქვეყნებს ინგლისის ცნობას იმის შესახებ, რომ სანაპირო რაიონებში მომხდარი ინციდენტი შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოსო.

ოსმალეთის პრესა განმარტავს ამ ცნობას ინგლისის მიერ, რომ ეს ინციდენტი მისი მიზეზით წარმოიშვაო.

ფეტვი-ბეის განცხადება.

ფეტვი-ბეიმ (ოსმალეთის დელეგაციის უფროსი ჟენევაში) პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვდა საზღვრების დაწესებას ოსმალეთსა და ირაკს შორის, მოსულის სამხრეთ მხარეზე და პლებისციტის გაყვანასო.

ფეტვი-ბეიმ განაცხადა, რომ ინგლისელები სცდილობენ გახადონ მოსული შუა სახელმწიფოდ ოსმალეთსა და ირაკს შორის. ინგლისმა შეიარაღა ქრისტიანები და აისორები და ხელმძღვანელობდა მათ თავდასხმას სამხრეთ ოსმალეთის საზღვრებზე.

დღიური.

ღამე იყო. მშვენიერი, ნაზი და წყნარი.

იოტისოდენი ღრუბელიც ცაზედ არ სჩანდა,..

მთვარე იყო სრული-პირბადრი...

სდუმდა ქალაქი...

მანქანების სუნთქვა ქარხანა—ფაბრიკებში აღარ ისმოდა.

ქალაქის მყუდროებას დრო გამოშვებით არღვევდა მეეზოვეს წივილი..

ქალაქის ცენტრის დაშორებით იდგა № ნაწილი˙

ღიდიდრონი ეზო და სამსართულიანი ყაზარმა იყო ბინა ამ ნაწილის წითელ არმიელთა.

მთელი დღის მეცადინეობის შემდეგ დაღლილი წითელ არმიელნი წყნარ ძილს მისცემოდენ.

მთვარე უხვად ფენდა თავის ვერცხლის შუქს ეზოს და ყაზარმას...

შუქის კონა თვით ყაზარმაშიაც შესულიყო და წითელ არმიელთა სახეს ნაზათ ელამუნებოდა.

ყაზარმის ეზოში სამზარეულოს მახლობლად ქალაქის მაწანწალა ძაღლები თავმოყრილიყვნენ და ერთმანეთს ულრენდენ ბეჭის ძვლის დასაპატრონებლად.

ბრძოლა არსებობისათვის ეს ცხოვრებაშიც ხომაა?

და ვინ იცის რომელი მათგანი უფრო ადრე წაავლებს ძვალს ხელს და დანარჩენს პირმშრალს დისტოვებს.

თავისთავად ცხადია, უომოთ საქმეს არ დათმობენ და შეიქმნება მუშტი-კრივი..

ვინც მარჯვეთ იქნება, ის გაიმარჯვებს..

ასეთია წესი ბუნების!...

ბრძოლის გარეშე მას არარა სწამს..

ბრძოლის უნარ მოკლებულს თვით ცხოვრება წაქელავს...

* * *

ყველას ეძინა...

მხოლოდ ნაცვლიანთ ვასო ფხიზლად იყო.

ის დღეს დღიურია.

ჰე! რა მსჯიდა ვყოფილიყავ ჰკვიანადა,—წაილაპარაკა ვასომ თავისთვის...

— რას ვერჩოდი ი ოხერ გოგლასა ეხლა ასე მომიხდება... მეც თეთრად უნდა გავათენო ღამე და იმანაცა

გუშინ წინ ნასადილევს, როდესაც ყველა წითელ არმიელები მოსვენებულნი იყვნენ ჩვენი დღევანდელი დღიური ვასო ნაცვლიშვილი მასხრობით წაელაპარაკა მეორე წითელ არმიელს გიგლა კლერტიაშვილს.

მასხრობამ ბოლოს სერიოზული ხასიათი მიიღო და ჩვენი წითელ არმიელებიც ხელიხელ ეცენ ერთმანეთს.

შეიქმნა აი-უი და ამასობაში ოცის თავიც წაადგა მათ თავზე.

მან გამოიკითხა საქმის ვითარება და ორთავე დამნაშავეთ იცნო.

ამიტომ ერთიც და მეორეც რიგს გარეშე მორიგეობით დაბეგრა.

* * *

ყველას სძინავს ისვენებენ... მე სულელმა კი რა ჩავიდინე... უძილობა უძილობაა და სირცხვილი სირცხვილი... წესი დავარღვიე, ხუმრობა საქმე ხომ არ არის?—ამბობდა ვასო.

ამბობდა და თან მოკაშკაშებული ცით, ვარსკვლავებით და მთვარით სტკბებოდა—ეს ერთი მაინც კარგია ჩემს ამხანაგებს სძინავთ: ისინი ვერ სტკბებიან ამ ლამაზი ცით მე კი.. მაგრამ ძილი მაინც კარგია.

ასე განაგრძობდა ფიქრს ჩვენი ვასო და ცოტა ხნის შემდეგ ჩამოეკიდა თოფს და ჩამოჯდა...

ჩქარა ამოუშვა ხვრენა...

ხელები მოეღუნენ და თოფი განთავისუფლდა...

ამ დროს ოცის თავმა გამოიარა. თოფი აილო და წავიდა...

ვასოს კი სძინავს... სძინავს და თან სიზმრებშია გართული... მოდის ქალი მასთან მზეთუნახავის სახით. თავზე ხელს უსვამს, თვალებს სათუთი ხელებით უხუჭავს... ვასო ქრთის მის სიამოვნებას საზღვარი არ აქვს და ამ დროს თავი წასძლებს, კედელს მიარტყავს და ვასოც გამოფხიზლდება.

— თოფი?!

თოფი აღარ არის...

— ვაი სირცხვილო და გამოჭენება... გაიფიქრა ვასომ, წამოვარდა ზეზედ და თვალები ამოიფშვნიტა...

იქით ეცა, აქეთ ეცა თოფი ვერ ნახა...

მოვიდა მორიგე... ურიგო ქცევისათვის დღიური მოხსნა...

ვასო წავიდა ოცეულში, დაწვა, მაგრამ ძილი მის თვალებს არ მოკარებია.

* * *

გათენდა დილა ისეთი ნაზი და წყნარი ვით ღამე იყო...

ოქროს სხივები მზემ მთებს სტყორცნა...

ყაზარმა გაანათა...

წითელ-არმიელები აიშალნენ..

ზოგი ფეხს იწმენდს, ზოგი პირს იბანს..,

ვასოც მათ შორისა...

სირცხვილით იწვის...

— რათ მოგივიდა ამხანაგო, ასეთი საქმე?—მიმართა ვასოს ერთმა ძველმა წითელ-არმიელმა.

— არ იცოდი, რომ დღიურს ნება არა აქვს დაძინებისა?

— ჰე, ვიცოდი ამხანაგო, მაგრამ ხომ იცი ძილმა წამძლია, შევრცხვი კაცი და თავს ლაფი დამესხა..

— ეგ არაფერია... რასაკვირველია ცუდი საქმეა... იქ იყავ დაყენებული არა ძილისთვის... ჩვენ გვდარაჯობდი... შენს ძილში ხომ შეეძლო საქმე წამხდარიყო... ან ქურდი მოვა, ან ავაზაკი და რა ვიცი..

სცხვენოდა ვასოს... ხმას არ იღებდა... ამხანაგურმა მოპყრობამ და ახსნა-განმარტებამ კიდევ უფრო მეტად შეაწუხა.

* * *

დაიწყო პოლიტ-საათი...

პოლიტიკურ ხელმძღვანელს გაფაციცებით უსმენენ წითელ-არმიელები...

პოლიტხელმაც ისარგებლა შემთხვევით და თავის საათში დღიურსაც შეეხო.

ვასო თავჩაღუნული უსმენდა.

პოლიტიკურ ხელმძღვანელს ერთხელაც არ უხსენებია ვასო ნაცვლიშვილი...

ის ლაპარაკობდა მხოლოდ დღიურზე...

— მესმის, მესმის, რასაც ამბობენ, ფიქრობდა ვასო... აწი თავს მოვიკლავ და არ დავიძინებ... სირცხვილი ვჭამე ამ ერთხელ და აწ ვეცდები აღარ გავიმეორო... ვეცდები კარგათ ვიმსახურო, ვინაიდან წითელ ჯარში გვასწავლიან, გვიხსნიან და გვიმარტავენ...

— ჰო! რა კარგი კაცია ის ამხანაგი დღეს რომ პირის დაბანის დროს მემუსაიფა. ეს პოლიტხელიც კარგი ვინმეა...

მე ჩავიდინე დანაშაული და პირადათ მე არ შემეხო, არა მე არ შეურაცმყო...

კარგი არის და ამას იმით გადვიხდი, რომ სანამ ცოცხალი ვარ ვემსახურები მუშათა ხელისუფლებას...

წით. არმ. პეპო.

ჩვენი წითელი კუთხე

ლენინის წითელი კუთხე.

1 ლეგიონის ასეულში წითელი კუთხე საუცხოვოთ არის მოწყობილი.

კუთხეს ამშვენებს მრავალ გვარი პლაკატები და რევოლიუციის ბელადების სურათები.

წითელ კუთხეში მოიპოვება მრავალი წიგნები და ბროშურები. შიგვე არის სამკითხველო და აგრეთვე ხშირად ტარდება პოლიტსაათი და უჯრედის კრებები.

აღსანიშნავია ის რომ კუთხეში მეცადინეობის გათავების შემდეგ გაფაციცებით მიმდინარეობს გაზეთების კითხვა, რაც მომასწავებელია იმის, რომ წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან სხვა და სხვა ამბებით.

კუთხეში თავს იყრიან ის წითელ არმიელებიც, რომლებმაც სუსტად იციან წერა-კითხვა. მათ პოლიტხელი ან სხვა ხმა მაღლა უკითხავს ჟურნალ-გაზეთებს და იძლევიან ახსნა-განმარტებას, რასაც მოსდევს წითელ არმიელების შეკითხვები და სხვა,

ამნაირად ყოველი საკითხი გაზეთებიდან წითელ არმიელისათვის გასაგები რჩება, ამასთანავე ერთად უცხო გაუგებარ სიტყვებსაც უხსნიან და არმიელებიც დიდი კმაყოფილებით უსმენენ. **შ. კვინიკაძე.**

ჩვენი შემოქმედება.

„წითელი მეომარი“.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მეორე ასეულში გამოდის კედლის გაზეთი, „წითელი მეომრი“ს სახელწოდებით.

წინეთ ეს გაზეთი გამოდიოდა „დაისის“ სახელწოდებით. არ შევჩერდები წინა ნომრებზე, მხოლოდ მინდა შევეხო ორ უკანასკნელ ნომერს. გაზეთი გამოდის ყოველ ორ კვირაში ერთჯერ. პირველი ნომერი ვერ იქცევდა იმდენ ყურადღებას.

დაწერილი იყო ნაკლებ ქაღალდზე, ნაწერიც ცუდი და შიგ აუარება გრამატიკულ შეცდომებს შეხვდებოდით.

გაზეთი არც შინაარსით იყო მდიდარი.

მაგრამ ღირსეულ ამხანაგების დიდმა დახმარებამ ამ მხრივ თავისი გავლენა იქონია.

მეორე ნომერი გამოცემულია სუფთა ქაღალდზე, კარგი ნაწერია და უმთავრესი ის არის, რომ მრავალ ფეროვანია თავისი შინაარსით.

გაზეთის პირველი ორი სვეტი დათმობილი აქვს ახალგაზრდა ლენინელებს. პირველი წერილი ამხ. ბორის ძნელაძის გარდაცვალების ერთი წლის თავს აღნიშნავს, მეორე—კი ახკომკავშირის მოკლე ისტორიას შეეხება.

შემდეგ მიდის აჭარელ ამხანაგის მოგონება, რომელიც მოგვითხრობს აჭარლების მდგომარეობის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციამდე და მის შემდეგ.

შემდეგი ამხ. ეხება ლაბორატორიულ მეთოდს, რითაც სწარმოებს ჩვენს სკოლაში სწავლა და აღნიშნავს მის დადებით მხარეებს.

აქვე მოთავსებულია პატარა ლექსი. მიძღვნილია „წითელ მეომარზე“ გაზეთი არც ულირს ამხანაგებს სტოვებს კბილ გაუკრავს რომლებსაც სამსახურის ასრულების დროს ჩაუდენია ცუდი საქციელი.

კ. ჩ—ძე.

„წითელი სანიტარი“

(1-ლ ქარ. მსრ. დივლაზარეთის ყოველკვირეული კედლის გაზეთი).

გაზეთი გამოვიდა საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობის დღის აღსანიშნავად.

დაწერილია ქართულ და რუსულ ენაზე. მონაწილეობას ღებულობენ ლაზარეთის მთელი შემადგენლობა ავადმყოფებიანათ.

გაზეთი საშუალო ფორმატისაა და დასურათებულია.

პირველი წერილი საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს აშუქებს. მეორე წერილში მენშევიკურ ავანტიურას ეხება (რუსულად), ამხ. დოლგოვსკი, მესამე წერილი, საკლუბო ქრონიკას ეხება და მეოთხე კი ლაზარეთის ცხოვრებას.

შემდეგ მეორე განყოფილებაა (რუსულ-ქართულ ენებზე, მოდის წერილები საერთაშორისო მდგომარეობაზე (გაზეთებიდან) მესამე განყოფილება კი იუმორისტული წერილები, ლექსები და ფოსტაა.

გაზეთი უკეთეს შთაბეჭდილებას დასტოვებდა ქაღალდი რომ უკეთესი ღირსების იყოს და სურათები არ იყოს მიკრული, რაც დაუშვებელია. სურათები ზედვე უნდა იხატებოდეს. ქაღალდისთვის ხარჯის გაღება არ იქნებოდა ცოდვა, კარგი იქნებოდა შემოეღოთ სხვა განყოფილებაც (მაგ. კითხვა-პასუხის, წითელი და შავი დაფის მხატვრული პროზა, რაც შეიძლება მეტი გაშუქება სანიტარიის და სხვა.

ისე გაზეთი შედარებით წინა ნომერთან უკეთესია, რაც სასიხარულოდ მიგვაჩნია.

სანი.

ექსკურსია ქარხანაში.

საარტილერიო დივიზიონის მე-3 მე სამთო ბატარეის კომუჯრედმა კვირას 12 ოქტომბერს მოაწყო ექსკურსია ტფილისშიარსებულ საავეჯეულო ქარხნის დასათვალიერებლათ.

ექსკურსიას, რაშიდაც მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა წითელ არმიელებმა, ხელმძღვანელობდა ხსენებულ ბატარეის კომუჯრედის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. **შმულევიჩი.**

დილის 9 საათი იქნებოდა, რომ წით. არმიელების მწყობრები დაიძრენ ყაზარმიდან და სიმღერით გაეშურენ ქარხნისაკენ.

აგერ კიდევაც მივაღწიეთ ქარხანასთან.

მეთაურებმა წითელ არმიელები ნაწილობრივად შეიყვანს ეზოში.

ამხანაგი მუშები მიესალმენ წითელ არმიელებს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ქარხანამ საყვირი აუშვა, მუშები ელვისებურად დაიძრენ წ.-თ. არმიელების წრიდან და წამში თავიანთ დაზგებთან დადგნენ. დაიწყო ვებერთელა ბორბლებიანმა მანქანებმა მოქმედება, ამოძრავდა ქარხნის ყველა კუთხეები.

დავიწყეთ უკვე დათვალიერება ქარხნის ყველა განყოფილებისა.

წითელ არმიელები ერთი მეორეს გაკვირვებით ეკითხებიან მანქანების სხვადასხვა დანიშნულებაზე; მუშები სიამოვნებით გვიხსნიან ყველაფერს.

არმიელებმა ყველაფერი დაათვალიერეს, ყველაფერს გაეცნენ, რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია მათში.

უნდა ითქვას, რომ ზემო აღნიშნულ ქარხნის დათვალიერება დიდათ საინტერესოა რისთვისაც ჩვენი არმიელები მადლობას უძღვნიან კომუჯრედს ასეთი ექსკურსიის მოწყობისათვის.

ნამკაშურისპირელი.

სასადილოც ასეთი უნდა.

პირველი ლეგიონის უფ. და პოლიტშემადგენლობას აქვს თავისი სასადილო. მაგრამ განა სასადილო ჰქვია ყველა იმ ადგილს, სადაც კაცს გაჭირვების გამო გიხდება ისადილო?

ვინ არის სასადილოს პატრონი?- ჩვეულებრივი გაქექილი ვაჭარი, რომელიც ყველას ჯიბეზე მისჩერებია. სიცხეების დროს ეს „ახირებული „ვაჭარი წყალს არ აჩერებდა თავის „დუქანში“ და თუ სთხოვდი დამალევინე წყალიო გეტყოდა არა მაქვსო. მიმსვლელები იძულებულნი იყვნენ მოეთხოვათ ლიმონათი ან სხვა რამ და... შედეგათ ყველა მოსადილენი ყელამდე ვალებში ჩაეფლენ.

ეს კიდევ არაფერი. ვინ რას იტყოდა რომ მზადდებოდეს ხეირიანათ. ხან მეტის—მეტად მლაშედ ამზადებს, ხან სულ უმარილოთ, ხან მჟავეს და სხვა. ყოველ შემთხვევაში თითო თეფშ ბორშში შეიძლება იპოვნო ერთი ხუთიოდე ცალი ჩამხრჩვალი ბუზი. წყალსაც ბინძურს ხმარობს (ალბათ ეზარება წყალზე შორს სიარული).



ყველაფერი ამის შემდეგ შედიხარ სადილისათვის და იმის მაგიერ რომ მოგართვან რამე, მთელი საათობით გიხდება ცდა. მოგიტანენ და ჩამრხჩვალი ბუზი სულ დაგიკარგავს ჭამის მადას!

ე, მახლოს სასადილოს გამგევ! როგორ იქნება ნეტავი შენი სასადილოს საქმე.

დოროთე.

იმედები გაგვიცრუვდა.

პირველი დივლაზარეთში გვაქვს კლუბი სამკითხველო და სხვა. კლუბი თუმცა პატარაა, მაგრამ ლამაზი და სუფთათ მოწყობილი საჭირო სურათებით.

წარმოდგენები იმართება ხშირად როგორც რუსულ ისე ქართულ ენაზე.

ლენინის კუთხე კარგათ მოწყობილია, ვინაიდან რაც შეიძლება სუფთათ, სამკითხველო თუმცა პატარაა მაგრამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მხოლოდ დიდათ ჩამორჩენილნი ვართ სხვებზე კედლის გაზეთით. აი საქმე რაშია: გვყავდა ჩვენ კლუბგამგეთ და ბიბგამგეთ სულ ერთი კაცი, ვინმე პოლიო. მის დროს გაკეთდა ერთი დიდი საქმე. ეს იყო კედლის გაზეთ „წითელ სანიტარის“ დაარსება. გაზეთი მეტად საინტერესო იყო. თითქმის ყველა ნომრები რაც კი გამოვიდა თავისი შინაარსით დამაკმაყოფილებელი იყო.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ბევრი წერაკითხვის უცოდინარი წ.-არმიელები გვყავდნენ და როდესაც ვინმე მცოდნე დაიწყებდა ამ გაზეთის ხმა მაღლა კითხვას სხვა უცოდინარნი ამას ყურს უგდებდნენ და შემდეგ დაინტერესებული ესწრობოდნენ სასკოლო მეცადინეობას, რათა თვით მათაც შესძლებოდათ ამ გაზეთის წაკითხვა და თავისი გულის დარდების შიგ მოთავსება.

აი მაგალითად იყო ასეთი შემთხვევა, რომ ზემოხსენებულ პოლიოსთან მისულიყო ერთი წ-არმიელი და ეთხოვა: თუმცა მე არ ვიცი წერა კითხვაო, მაგრამ მე გეტყვი და შენ ჩამიწერე ჩვენს გაზეთში რასაც გეტყვიო. პოლიოც რასაკვირველია როგორც ყოველთვის კარგათ შეხვდებოდა ამას და აესრულებია ამხანაგის თხოვნა. როდესაც სხვა წით. არმიელებმა ნახეს და წაიკითხეს თავის ამხანაგის წერილი ჩვენსავე გაზეთში, გაუორკეცდათ სურვილი წერა კითხვის ჩქარა შესწავლისა და სცდილობდენ რაც შეიძლება ჩქარა გამხდარიყვნენ წერა კითხვის მცოდნენი.

ჩვენი კლუბგამგე მოხსნეს და გადაიყვანეს პოლიტგანყოფილების განკარგულებაში. იმის მაგიერ დანიშნეს ახალი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვფიქრობდით ახალი კაცი ალბათ ბევრს ახალს რამეს მოგვიტანდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა.

ახალი მას ჩვენთან არაფერი შეუქმნია, პირიქით დაგვეკარგა ჩვენი ნორჩი და ჯერ კიდევ გულიდან აჰოუშორებელი კედლის გაზეთი „წითელი სანიტარი“, რომელიც სიცოცხლეს ჰგვრიდა პატარა ლაზარეთს.

რად დაიკარგა კედლის გაზეთი?!!

რაჭველი შალიკო.

ყურადღება არ ექცევა.

სამხედრო კორესპოდენტთა თათბირი იყო თუ კერძო საუბარი, თუ გაზეთის საშვალებით გვისაყვედურებენ „სწერეთ ნაწილის ნაკლოვანებაზე, თქვენს გაჭირვებაზე, ისეთ გაჭირვებაზე, რომლის გამოსწორება ადვილია და არ ასწორებენო“ და სხვა.

ჩვენც კორესპოდენტები უპასუხებთ „ჩვენ წერილებს და ჩივილს ნაკლოვანებაზე არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას“.

ბოლოს და ბოლოს მოაგწყინდება კაცს, როდესაც ხედავ შენ მუშაობას ნაყოფი არ მოაქვს.

სწერენ ნაწილის ნაკლოვანებაზე და ის ნაკლი ნაკლად რჩება არავინ ყურადღებას არ აქცევს. ფიქრობ, მაინც ზედმეტია წერა, მაინც ყურადღებას არავინ აქცევს, სჯობს ისევ გავჩუმდეო. მაგრამ გული მაინც არ ითმენს უყურადღებობას რომ ხედავ. არა ერთხელ იყო მოთავსებული წერილი 1 დივიზიონის საარტილერიო პარკის ელსმენის გასწორების შესახებ.

წერილის გამოშვების დღეს მობრძანდებიან კაბელის გამსწორებელნი რაღაცას დროებით აამუშავებენ და ისინი არც იქნებიან თავიანთ ნაწილში მისული, რომ ელსმენი უკვე გაფუჭებულია.

ყველასათვის ცხადია თუ რა საჭიროა ელსმენი ნაწილში. მაშ რაშია საქმე? ელსმენი ისევ დაყრუებული დგას და სანამდი-არვიცით... საჭიროა ყურადღება და ყურადღება.

სამხკორი ჩხიკვიშვილი.

დაგვიცავით წყლისგან.

ა. წ. 11 ოქტომბერს დიდი ავდრიანობა იყო, განსაკუთრებით ჩვენს რაიონში (ვაკეში.) მთელი სკოლის გარშემო გაუვალი წყლები გაჩნდა, სკოლის ეზო წყლით მოიფარა, წყალმა გასავალი გზა ვერ იპოვა და მთელი წყალი მიადგა სკოლის თანამშრომლების ბინას.

შენობის ქვედა სართული, სარდაფი მთლათ წყლით აივსო. მდგომარეობა ცუდი იყო.

ეს პირველი მაგალითი არ არის რომ ამ სარდაფში წყალი ჩავიდა. ამიტომ შესაძლებელი იყო უბედურობაც მოყოლოდა.

ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას რათა წყალს გასავალი გზა მოუძებნონ და შემდეგისათვის თავიდან ავიცდინოთ ეს მოვლენა, თორემ ნათქვამია „კოკა წყალს სულ არ მოიტანსო“ და ასედაც დაგვემართება, დაგუბებული წყალი სახლის ბალავერს გაუფუჭებს და შენობა დაზიანდება.

ასეთ შემთხვევის დროს ჩვენი მნე ნიჩაფით ვერ გვიშველის.

უტყუარი.

პირველი ლეგიონი მეორე მანევრებზე.

2 ოქტომბერს პირველი ლეგიონი მეორეჯერ გავიდა მანევრებზე. აქვე იყვნენ: ქართულ მეთაურთა შეერთებული სკოლა. ქართული დივიზიონი, ქართული დივიზიის არტილერია, მძიმე არტილერია და რუსის ნაწილები. აღნიშნულმა ნაწილებმა 8 საათზე თავი შეიყარეს ჰაერო-დრომის პლაცთან, სადაც იყვნენ არმიის უფროსი ამხ. პუგაჩოვი, ქვეითა ჯარების უფროსი და სხვა.

ჯარების მოძრაობა დაიწყო რვა საათზე.

ქვეითა ჯარების უფროსად დანიშნული იყო პირველი ლეგიონის თავი ამხ. ქუთათელაძე და არტილერიის უფროსად ამხ. გოგოლაშვილი.

ქვეითა ჯარების უფროსს მიეცა ამოცანა, რომ სოფელი არის მოსალელი და მტერი გადმოდის შეტევაზე. საჭიროა დაამარცხოს მოწინააღმდეგე და აიღოს აღნიშნული სოფელი.

ამხ. ქუთათელაძემ გადასცა გუნდის უფროსებს სიტყვიერი ბრძანება სისრულეში მოსაყვანად.

თერთმეტ საათზე არტილერიამ დაუშინა ყუმბარები მოწინააღმდეგის პოზიციებს.

ქვეითა ჯარი და ტყვია-მფრქვეველი ახლოს იყვნენ მისული პოზიციაზე.

პირველი ლეგიონის ბატარეაც მამაცურად ასრულებდა თავის დანიშნულებას.

ბატარეამ დაამარცხა მტერი, მტერმა უკან დაიხია.

ქვეითა ჯარიც მონაწილეობას ღებულობდა სროლაში, რომელიც დაყოფილი იყო ნაწილებად.

1-ლ ლეგიონს უფროსობდა ათასეულის თავი ამხ. ზოიძე, სკოლას ამხ. კიკნაძე, მიმართულება კი ერთი და იგივე ჰქონდათ.

თორმეტ საათიდან—სამ საათამდე განუწყვეტელი სროლა სწარმოებდა და სწორედ ამ დროს დამარცხდა მტრის არტილერია.

ამავე დროს ქვეითა ჯარიც გადავიდა შეტევაზე და აიღეს მტრის პირველი პოზიცია, სადაც შეჩერდა და წინ არ წაუწევია.

გამარჯვება ქვეითა ჯარს ხვდა. გაიმარჯვა ამხ. ქუთათელაძის გეგმამ, რის შემდეგ მან გასცა ბრძანება რათა აღებულ სოფელში ზარალი არ მიაყენონ ჯარებმა გლეხებს და პოლიტხელებმა აუხსნან ხალხს თუ ვის წინააღმდეგ იბრძის წითელი ჯარი.

ამასობაში მოვიდა სადილიც. ვისადილეთ ყველამ ერთად უფპოლიტშემადგენლობასთან და გამოვეშურეთ ყაზარმისაკენ.

ს. იმნაიშვილი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ.

ფინეთის საჰაერო ძალები შესდგებიან ერთი ბრიგადისაგან, რომელიც უშვალოდ ემორჩილება სამხედრო მინისტრს და ჯარების მთავარ სარდალს.

ბრიგადის შტაბი იმყოფება ფინეთის სატახტო ქალაქ გელსინგფორსში და შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან:—პირადი შემადგენლობის, ტეხნიკური და ადმინისტრატიულისაგან.

ბრიგადას სათავეში უდგას პოლკოვნიკი და განიყოფება რაზმებათ, რომლებიც ექვემდებარებიან მაიორებს.

თითეული რაზმი განიყოფება ეშელონებათ და თითეულ ეშელონში არის რვა აპარატი.

ჰაეროდრომები მრავალ ქალაქებშია მოწყობილი.

ქ. სვეაბორგში არსებობს სახელმწიფო საავიაციო ქარხანა, რომელშიდაც მზადდება „გაიზა-ბრანდერბურგის“ ტიპის გიდროპლანები.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ.

ესტონეთის საჰაერო ფლოტი შეიცავს ერთ ხმელეთისა და ერთ საზღვაო რაზმებს, ორივე რაზმები ექვემდებარებიან ერთ უფროსს.

შტაბი იმყოფება ქ. რეველში. რაზმები განიყოფებიან ჯგუფებად და თითეულ მათგანს აქვს საკუთარი სახელოსნო.

აპარატების რიცხვი 1923 წ. იყო: ყუმბარის მსროლელი—18, გამანადგურებელი—13, მზვერავი—26.

საჰაერო სკოლა საერთოა ხმელეთისა და საზღვაო ნაწილებისათვის.

სპეციალისტ მფრინავთა შემადგენლობა აღწევს 50 კაცამდე, ხოლო, მოსამსახურეთა შემადგენლობა 350 კაცამდე.

ᲚᲐᲢᲕᲘᲐ.

ლატვიის საჰაერო ფლოტი უფრო მცირეა. ის შესდგება—8 გამანადგურებლისაგან, 11 მზვერავისაგან. არსებობს ერთი საავიაციო სასწავლებელი და ერთიც სახელოსნო, ყველა ესენი ემორჩილებიან თავდაცვის სამინისტრ-ს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

გერმანიას მოკავშირეებმა მოუსპეს სამხედრო ავიაციის ყოლის უფლება და ამიტომ მთელი მათი ყურადღება მიქცეულია სამოქალაქო ავიაციის განვითარებისაკენ, რომელიც მისცემს სახელმწიფოს საჰაერო საქმეში გამოცდილ სპეციალისტებს, და აგრეთვე საავიაციო საშვალებებს, რაც საჭიროების დროს გაადვილებს სამხედრო ავიაციის ორგანიზაციის საქმეს.

სწორედ ამ მიზნით გერმანია გაფაციცებით მუშაობს სამოქალაქო ავიაციის განვითარების საქმეში და ყოველგვარ საშვალებებს ხმარობს ამისთვის.

გერმანიის აპარატებმა—(აერო-ლოიდის—ტიპი) 31 ივლისამდე მიმდინარე წელში მოახდინეს 1820 გაფრენა ლონდონსა, ბერლინსა—მოსკოვსა და მალმე-კოპენგაგენსა და გამბურგს შორის.

ამ ხნის განმავლობაში აპარატებმა დაფარეს სულ 462.470 კილომეტრის მანძილი და გადაიყვანეს 3.655 მგზავრები მათ შორის რუსეთიდან დათვები ბერლინის ზოოლოგიური მუზეუმის საჭიროებისათვის.

გერმანიის ყოფილ საავიაციო ქარხნებმა „გერმანიამ“ და სხვებმა განაახლეს მუშაობა.

ბერლინში დაარსებულია განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაამზადოს აპარატები მოძრავი ფრთებით.

ამზადებენ ასეთ აპარატებს სპორტისთვის, სამგზავროთ და ჰიდროპლანებისაც.

საავიაციო სკოლები იმყოფებიან ბევრ სხვა და სხვა ქალაქებში. საერთოდ გერმანიაში დიდი ყურადღება ექცევა ამ მიმართულებით მუშაობას.

ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.

სამხედრო ქიმიის კარგი მცოდნე პირების აზრით, საკმარისია 100 თვითმფრინავებიდან გამოუშვათ არა წმინდა აირი, როგორიც „ლიუსი-“ტია, არამედ 200 ტონა მხრჩოლავი და ასაფეთქებელ ნივთიერებისა, რომ 12—15 კვადრატიულ ვერსტის მანძილზე მოიწამლოს თანამედროვე დიდი ქალაქი და მოკლე ხნის განმავლობაში ამოახრჩოს ერთიანად ამ ქალაქის მთელი მოსახლეობა.

ასეთია სამხედრო ქიმიურ თავდასხმის შედეგები ქალაქებზე.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ ძველი, უკვე ომში ნაცადი აირებით ქალაქებზე თავდასხმის შედეგები. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ემზადებიან ომისათვის და იმუშავებენ ახალს, უფრო საშინელ სიძლიერის, საწამლავ აირებს.

მაშინ, რასაკვირველია, ქიმიური თავდასხმა იქნება უფრო საშინელი, თუ კი ქალაქის და სოფლების მოსახლეობა არ იქნება დაცული თავდასხმისაგან.

ქალაქების და სოფლების მოსახლეობის დასაცავად ზურგში გამომუშავებულია სხვა და სხვა თავდასაცავი საშუალებანი.

მათ შორის მთავარია შემდეგი:

1. საშუალება რომ ადრე შეიტყონ მოსალოდნელი ქიმიური თავდასხმა.

2. თავშესაფარი, ე. ი. განსაკუთრებული ბინები მიწაში, რომელშიაც საწამლავი აირი ვერ ატანს და შედის მხოლოდ წმინდა ჰაერი. ასეთ ბინებში მოსახლეობა თავს იფარავს ქიმიურ თავდასხმის დროს, ან და როგორც კი აცნობებენ მოსალოდნელ თავდასხმას.

3. საშუალება თავდასხმის დროს მოწამლული ადგილების გასაწმენდათ.

მაგრამ ყველა ეს თავდაცვის საშუალებანი მხოლოდ მაშინ მიაღწევენ მიზანს, როდესაც ქალაქების და სოფლების მოსახლეობას თვითონ ეცოდინება მათი ხმარება, ე. ი. ეცოდინებათ რა არის ქიმია, რა არის მხრჩოლავი აირი და როგორ შეიძლება მისგან თავის დაცვა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

„ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ.

ინგლისელ მერიუსის ერთ დროს გახმაურებული „ჯოჯოხეთის სხივებმა“ ბოლოს და ბოლოს თავი ამოყო ამერიკაში.

როგორც ვიცით ამერიკელები პრაქტიკული ხალხია და ამ სხივების შემოწმება მიანდეს ცნობილ ფიზიკოსს რიჩარდსონს.

ამ შემოწმების შედეგები რიჩარდსონმა მოახსენა კონგრესს.

რიჩარდსონის მოხსენებაში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ მერიუსის „სიკვდილის სხივები“ სავსებით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივ სხივებისაგან, რომელიც უკვე ცნობილია ფიზიკოსებისათვის და არავითარი სასიკვდილო თვისება მათ არა აქვთო.

ამასთანავე ერთად რიჩარდსონმა უარყო ის ხმები თითქოს შესაძლებელი იყოს ისეთი სხივების არსებობა, რომელსაც შეეძლოს მფრინავ ჰაეროპლანების გაჩერება.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲮᲘᲓᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ.

30 წლის წინეთ განიზრახეს ქალაქ სიდნეი (ავსტრალია) შეერთებიათ—ნორდ სიდნეისთან.

ეს პროექტი მხოლოდ ეხლა იქნა დამტკიცებული და კიდევაც შეუდგნენ მის სისრულეში მოყვანას.

ხიდის სიგრძე იქნება 1.145 მეტრი (ავსტრალია) სიგანე კი 23 საჟენი.

ხიდი იქნება ზღვის ზედა პირიდან 63 საჟენის სიმაღლეზე და ამნაირად მის ქვეშ თავისუფლად გაივლიან უდიდესი საოკეანო გემებიც კი.

ხიდის გაკეთება მინდობილი აქვს ადგილობრივ—ავსტრალიის საინჟინერო საზოგადოებას.

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲬᲧᲐᲚ ᲥᲕᲔᲨ.

ამ უკანასკნელ ხანებში რადიომ დაიპყრო არა მარტო ჰაერი, არამედ წყალიც. მეცნიერების გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ რადიო ტალღების რხევა ვრცელდება წყლის სიღრმეშიდაც.

წყალქვეშა გემებზე ამართულ ანტენებიზე (მიმღები) მომხდარმა ცდებმა, რომლებიც ვემებთან ერთად ინაცვლებენ ადგილ მდებარეობას წყალში, სავსებით გაამართლა იმედები. წყალში მშვენივრად იქნა მიღებული რადიო ტალღები.

წყალქვეშა ნავი, რომელიც სამი მეტრის სიმაღლეზე იყო ჩასული წყალში, იღებდა ნაუენის ცნობებს 7.000 მილის მანძილზე.

ამერიკაში—მიჩიგანის ტბაში 25 მეტრის სიმაღლეზე ჩაძირული ანტენამ მშვენივრად მიიღო ცნობები ფილიპეს კუნძულებიდან 13.000 კილომეტრის მანძილიდან დაცილებით.

ცნობების გადაცემა—წყალქვეშა ანტენის საშვალებით კი უფრო ძნელი საქმეა.

ამ უკანასკნელის წყალში რამოდენიმე სანტიმეტრის სიღმეზე ჩასვლით მანძილზე გადაცემის სიგრძე კლებულობს 20 კილომეტრამდე, ხოლო 3 მეტრის სიმაღლეზე ჩასვლით ცნობებს ვერ გადასცემენ 5 კილომეტრის მანძილზე მეტად.

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

ერთმა გერმანელმა ქირურგმა—გვარად **ელეკერი**—მოახდინა ავადმყოფი ფეხის თითის გადასმა ხელზე. სულ ორი მაგალითი იყო ამ აპერაციის.

პირველი—20 წლის პაციენტს მარჯვენა ხელზე მოჭრილი თითის ადგილზე—გადაუსვა მარცხენა ფეხის დიდი თითი.

ორივე შემთხვევაში ცდები დამაკმაყოფილებელი შეიქნა.

მეორე შემთხვევაში ბავშვს შესაძლებლობა მიეცა გაფუჭებული ხელით მაგრად მოსჭიდებოდა თითქმის ყველა საგნებს.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲛᲔᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲨᲘ.

მეჯვრისხევის (ქართლი) აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გაზაფხულიდან შეუდგეს კრამიტისა და აგურის ქარხნის აშენებას.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

სოფ. ახალქალაქში (ქართლი) მოეწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობი, საიდანაც გლეხებს აძლევენ დროებით სახმარებლათ სამეურნეო მანქანებს.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

გორის მაზრის გლეხკომებმა მორიგ ამოცანათ დაისახეს კომპანიის ჩატარება, გლეხობასთან კოოპერაციის დაახლოების მიზნით.

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ.

ბორჯომის რაიონულ აღმასკომის თაოსნობით საფუძვლიანათ შეკეთებულ იქნა ბორჯომის რაიონში ყველა სკოლები.

Წ.-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

გორის მაზრის, ქარელის რაიონში, იხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა 18 ადგილას.

ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲐ ᲒᲝᲠᲨᲘ.

გორის სამაზრო აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ განიზრახა მომავალი საანგარიშო წლის განმავლობაში ქალ. გორში ააგოს რამოდენიმე ახალი დიდი შენობა.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲗ.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ტელეფონის ხაზის გასაყვანათ ბორჯომიდან სოფ. გუჯარეთამდე.

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ.

გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, რათა შემცირებულ იქნეს გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **რემედასის სადივიზიო კონფერენცია.** გუშინ, წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიხსნა ქ. დ. რევოლ. საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების სადივიზიო კონფერენცია.

— **დახმარება ლეჩხუმის მაზრას.** ა. კ. ეკონომ. საბჭოს წინადადება მისცა ა. კ. ფინ. სახ. კომისარიატს გაუხსნას ლეჩხუმის მაზრას კრედიტი 6.913 მანეთის რაოდენობით წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხების დასახმარებლათ.

— **ნაწარმოებთა შემოტანა რუსეთიდან.** ა. კ. უმ. ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ა. კ. სახელ. გეგმის კომიტეტის პროექტი რუსეთიდან სხვა და სხვა ნაწარმოებთა შემოტანის შესახებ. პური შემოტანილ იქნება 12 მილიონი ფუთი, მანუფაქტურა 66 მილიონი არშინი და შაქარი 1.655.000 ფუთი.

— **გადამრჩენი პუნქტები მტკვარზე.** ქალ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს მტკვარზე გადამრჩენი პუნქტები, უბედური შემთხვევებთან საბრძოლველათ.

— **საქარხნო ამბულატორიებში.** ტფ. დამზღვევი კასის დადგენილებით საქარხნო ამბულატორიებში ავათმყოფთა მიღება იწარმოებს შაბაშის შემდეგ.

— **მარილის გაიაფება.** ა. კ. უმაღ. ეკ. საბჭომ შესაძლებლად სცნო დაკლებულ იქნეს აფშერონის მარილზე ნახევარი კაპეიკი ფუთზე და ნახიჩევანისაზე კი 2 კაპ. ფუთზე.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ კომპარტიის კანდიდატობის მოწმობა №193 გაცემული ქართ მსროლელ დივიზიის პარტკომისიისაგან და მასთანვე ერთად ქორწინების საბუთი იოსებ ლუკაძე შონვაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ხ. ც
ტირაჟი 1.500
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი—ბ. ჩუხიძე